



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

28/02/2024



MES 1 24 0000234065

სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2024 წლის 20 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის სააპელაციო საჩივარი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრაციის №180551) და წერილი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი №183171) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის № 72273 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2024 წლის 27 თებერვალს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1-ის (ს/კ: 239867872) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №180551);
2. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №232637 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა;

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ფარცვანია კახაბერ

